

ინფორმაცია ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის შესახებ

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია — გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალური დაწესებულება. მთავრობათაშორისი საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც შეიქმნა 1948 წელს. მასში გაერთიანებულია 194 სახელმწიფო, მათ შორის საქართველო.

შტაბ-ბინა მდებარეობს შვეიცარიის ქალაქ ჟენევაში. გენერალური დირექტორია მარგარეტ ჩანი. ორგანიზაციის მიზანია ყველა ხალხის მიერ ჯანდაცვის მაღალი დონის მიღწევა. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია არ შემოიფარგლება სხვადასხვა დაავადებასთან ბრძოლით, იგი წყვეტს, აგრეთვე, სოციალურ პრობლემას საერთაშორისო მასშტაბით (ცალკეული სახელმწიფოებისათვის სოციალური დახმარების აღმოჩენა, სამედიცინო კვლევების ხელშეწყობა და სხვ).

იგი სისტემატურად აქვეყნებს სხვადასხვა სახის დიდძალ სტატისტიკურ ინფორმაციას (მაგ., შობადობას, ეპიდემიებს, ტრავმატიზმს, სხვადასხვა დაავადებათა შესახებ).

ორგანიზაციის მიზანია მსოფლიო ხალხების ჯანმრთელობის მაღალი დონის მიღწევა. აღნიშნულის განხორციელებას ემსახურება ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ შემუშავებული სტრატეგია „ჯანმრთელობა ყველასათვის 21-ე საუკუნეში“, რომელიც მიღებულ იქნა 1998 წელს. აღნიშნული სტრატეგია ითვალისწინებს ადამიანთა ჯანმრთელობის ისეთი ხარისხის მიღწევას, რომელიც შესაძლებლობას მისცემს ყველა ადამიანს იცხოვროს სრულფასოვანი ცხოვრებით. ჯანმრთელობა აღიქმება, როგორც ადამიანური განვითარების უმთავრესი კომპონენტი.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ხელმძღვანელი ორგანოა მისი ასამბლეა, რომელიც ყოველწლიურად იკრიბება. აღმასრულებელი ორგანოა აღმასრულებელი კომიტეტი. იგი შედგება ორგანიზაციის წევრი 30 სახელმწიფოს წარმომადგენლებისაგან, რომლებსაც ირჩევს ასამბლეა; კომიტეტი იკრიბება წელიწადში, სულ ცოტა, ორჯერ მაინც.

ადმინისტრაციული ორგანოა სამდივნო, რომელსაც ხელმძღვანელობს გენერალური დირექტორი. ფუნქციონირებს, აგრეთვე ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის 6 რეგიონალური ორგანიზაცია: დანიაში (კოპენჰაგენი), აშშ-ში (ვაშინგტონი), სამხრეთ-დასავლეთ აზიაში (დელი), ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ რეგიონში (ალექსანდრია), წყნარი ოკეანის დასავლეთ რეგიონში (მანილა), აფრიკაში (ბრაზავილი).

საქართველო ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის წევრია 1992

წლიდან. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის საკოორდინაციო ოფისი საქართველოში დაარსდა 1993 წელს. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის წევრი ქვეყნები დაჯგუფებულნი არიან რეგიონული პრინციპით, საქართველო მიეკუთვნება ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპის რეგიონულ ოფისს, რომელიც მოიცავს 53 წევრ ქვეყანას. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია მჭიდროდ თანამშრომლობს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან, რომელიც ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის პროგრამების ძირითადი განმახორციელებელია.

ასოციაცია ჰერა XXI პერმანენტულად შემოგთავაზებთ ინფორმაციას, იმ მნიშვნელოვანი რეკომენდაციების შესახებ, რომელსაც ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია მსოფლიოსა და საქართველოს მისმართით გასცემს.

სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობა ჯანმოს ახალ სამოქმედო გეგმაში

სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის გაუმჯობესების კუთხით ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის სამოქმედო გეგმა (2017-2021) ქვეყნებს ახალ სახელმძღვანელო ჩარჩოს სთავაზობს. ის მათ ეროვნული პოლიტიკის, სტრატეგიისა და პროგრამების შემუშავებაში

დაეხმარება. გაეროს მოსახლეობის ფონდის

(UNFPA) აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონული ოფისის ორგანიზებით ახალ სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით

თბილისში ორდღიანი საკონსულტაციო შეხვედრა გამართა.

დედათა და ჩვილთა ჯანმრთელობა, აბორტის, სქესობრივი გზით გადამდები დაავადებებისა და საშვილოსნოს ყელის კიბოს პრევენცია, შესაბამის მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა და განათლება სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ - ეს ის ძირითადი საკითხებია, რომელსაც სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის მიმართულებით ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ახალი ევროპული სამოქმედო გეგმა განიხილავს. გეგმა, რომელიც მიმდინარე წლის შემოდგომაზე 53 ქვეყანაში უნდა მიიღოს, ჯანმრთეობის მიერ წვერ ქვეყნებთან და პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად მუშავდება. თბილისში მიმდინარე შეხვედრის მიზანია ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის ამ გეგმის შესახებ შეთანხმების მიღწევა. გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) მიერ ორგანიზებულ შეხვედრას ადგილობრივ და უცხოელ ექსპერტებთან ერთად ჩვიდმეტამდე ქვეყნის ჯანდაცვის სამინისტროებისა და სხვა სამთავრობო უწყებების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის წარმომადგენელი სქესობრივი და რეპროდუქციული პროგრამის მენეჯერი გუნტა ლაზდანი ამბობს, რომ წინა დოკუმენტისგან განსხვავებით, რომელიც უფრო მეტად სტრატეგიული დოკუმენტი იყო, ახალი ვერსია უშუალოდ სამოქმედო გეგმა, კონკრეტული აქცენტებით სხვადასხვა პრობლემებზე. გარდა ამისა, ახალი დოკუმენტი სრულად მოიცავს სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობას და ჯანმრთელობაზე ზრუნვის გრძელვადიან ჯაჭვზე ორიენტირებული.

„სამოქმედო გეგმა 53 ქვეყნისთვის მუშავდება და, რასაკვირველია, ყველა ამ ქვეყანაში განსხვავებული მდგომარეობაა. მიუხედავად ყველაფრისა, საქართველოსთვის დედათა ჯანმრთელობა დიდ პრობლემად რჩება. ჩვენ დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ამ მიმართულებას განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა და ქვეყანა საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით იმოქმედებს. დანარჩენი უკვე ქვეყანაზე დამოკიდებულია. თუმცა არსებობს პრობლემები, რომლებიც საერთოა რეგიონისთვის, მაგალითად განათლება სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის მიმართულებით, სექსუალური ძალადობა და ზოგადად, ძალადობა“, - ამბობს გუნტა ლაზდანი.

ახალ სამოქმედო გეგმის განხილვასა და გამოცდილების გაზიარებასთან ერთად შეხვედრაზე ისეთ საკითხებზე ისაუბრეს, რომლებიც სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს რეგიონში, აღმოსავლეთ ევროპის, შუა აზიისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისთვის.

გაერო-ის მოსახლეობის ფონდის რეგიონული მრჩეველი სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხებში თამარ ხომასურიძე ამბობს, რომ ყურადღება გამახვილდა ისეთ საკითხებზე, რომლებიც ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი გამოწვევაა რეგიონისთვის. პირველ რიგში ეს არის ქალთა ჯანმრთელობა, დედათა და ახალშობილთა ჯანმრთელობის პრობლემები, საშვილოსნოს ყელის ონკოდაავადება, აბორტი.

„ათასწლეულის მიზნების ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებები მნიშვნელოვანი და შედეგიანი იყო. თუმცა ეს შედეგები ძირითადად დედათა და ახალშობილთა სიკვდილიანობის მიმართულებით იყო მიღწეული. უნდა აღინიშნოს იმ გამოწვევების შესახებ, რომლებიც დარჩა. ეს გახლავთ უნივერსალური ხელმისაწვდომობა რეპროდუქციული ჯანმრთელობის მომსახურებაზე. ეს მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ მოხდეს ყველა იმ პრობლემის პრევენცია, რომლებიც რეგიონში არსებობს. განსაკუთრებით მინდა ხაზი გავეუსვა ისეთ საკითხებს, როგორცაა უშვილობის, სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების, შიდსის პრევენცია. ამ მიმართულებით რეგიონს ძალზე ნეგატიური მაჩვენებლები აქვს. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ეროვნული პროგრამების შემუშავება, რომელიც ფოკუსირებული იქნება იმ გამოწვევებზე, რომლებიც თითოეული ქვეყნის წინაშე დგას. ჩვენ მხარს დავუჭერთ და დავეხმარებით ქვეყნებს ამ პრობლემების დაძლევაში“, - ამბობს თამარ ხომასურიძე.

გაეროს მოსახლეობის ფონდის ინფორმაციით, 1990-იანი წლებიდან დღემდე აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში დედათა სიკვდილიანობის მაჩვენებელი თითქმის განახევრდა, თუმცა, ჯერ კიდევ არსებობს ბარიერები, რომელთა გამოც ქალებსა და ახალგაზრდებს ხელი არ მიუწვდებათ სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სფეროში ხარისხიანი ინფორმაციასა და მომსახურებაზე. რეგიონში მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი დღემდე არ იცნებს თანამედროვე კონტრაცეპტივებს. ასევე, მზარდობს მშობიარობის მაჩვენებელი დასავლეთ ევროპის მაჩვენებელთან შედარებით საშუალო მადალია. საშვილოსნოს ყელის კიბოს შედეგად გამოწვეული სიკვდილიანობა ათჯერ უფრო მაღალია, ვიდრე ევროკავშირის ქვეყნებში. აბორტი კვლავაც რჩება შობადობის კონტროლის ფართოდ გავრცელებულ მედიად და რეგიონში მეორადი უნაყოფობის მაჩვენებელი ერთ-ერთი ყველაზე მაღალია მსოფლიოში. ასევე, მზარდობს აივ ინფექცია.

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანდაცვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი მარინა დარახველიძე ამბობს, რომ სამინისტრო მუშაობს, რათა შეიქმნას რეპროდუქციული ჯანმრთელობის სტრატეგია და ეროვნული სამოქმედო გეგმა, რომელიც თავს მოუყრის სხვადასხვა დოკუმენტებში, სტრატეგიებსა თუ კონვენციებში ასახულ პრიორიტეტებს და შესასრულებელ ღონისძიებებს. მისი თქმით, რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე ზრუნვა დაწყებულია. სახელმწიფომ რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა ამისათვის, მათ შორის გადაიხედა და განახლდა აბორტის შესახებ მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელიც 12 კვირამდე აბორტის მარეგულირებელ ნორმებს მოიცავს. ასევე, გაუმჯობესებულია სამედიცინო აბორტების ჩვენებების საკითხი. მისივე თქმით, დაგეგმილია სხვადასხვა სამედიცინო თუ საკანონმდებლო მექანიზმზე მუშაობა, რომელიც სელექციური აბორტის პრევენციას მოუწყობს ხელს. ასევე, მნიშვნელოვანია რეპროდუქციული ჯანმრთელობის კუთხით პირველადი ჯანდაცვის რგოლის გაძლიერება.

„ადამიანმა უნდა იცოდეს, როგორ მართოს სწორად თავისი ჯანმრთელობა და რეპროდუქციული სტატუსი. ამ მიმართულებით აქტიურად უნდა ვიმუშაოთ, რადგან ეს ზევრ დადებით შედეგს მოიტანს და ზევრად დიდი იქნება უკუგება. როცა ადამიანმა იცის, რა

არის კარგი მისთვის და მისი ოჯახისთვის, ის აუცილებლად შეეცდება, შემდგომ შესაბამისად იმოქმედოს. ჩვენ ნულიდან არ გვაქვს დასაწყები. ბევრი რამ უკვე გავაკეთეთ, მაგრამ გვჭირდება უფრო მეტად სისტემატიზაცია - რა გავაკეთეთ, რა გვაქვს გასაკეთებელი და რამდენად სწორ გზაზე მივდივართ. სტატისტიკის მოწესრიგება ძალიან მნიშვნელოვანია. სკანდინავიის ქვეყნების მხარდაჭერით დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრში მოქმედებას დაიწყებს დედათა და ბავშვთა ძალიან მნიშვნელოვანი რეგისტრი, ე.წ. დაბადების რეგისტრი, რომელიც საშუალებას მოგვცემს თვალი მივადევნოთ რეპროდუქციული ჯანმრთელობის მეტად მნიშვნელოვან მაჩვენებლებს", - ამბობს მარინა დარახველიძე.

წყარო: <http://liberali.ge/articles/view/21474/sqesobrivi-da-reproduqtsiuli-janmrteoba-janmos-akhal-samoqmedo-qeqmashi>